



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,

ქართული მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კსუ)

05-06 ნომბერი

ანგარიშის წარდგენის თარიღი:

23/12/2025

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლალემანდ პატრისი, ინსტიტუტი - აგრო, საფრანგეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	მარიამ ხომასურიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ლაჭავაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ქართულად	ქართული მევენახეობა და მეღვინეობა	ქართული მევენახეობა და მეღვინეობა	მევენახეობა და მეღვინეობა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Georgian Viticulture and Enology	Georgian Viticulture and Enology	Viticulture and Enology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მევენახეობისა და მეღვინეობის ბაკალავრი	მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი	მევენახეობისა და მეღვინეობის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას	0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას	0888 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	50

<p>პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)</p>	<p>აკრედიტებული ა, გადაწყვეტილება N57, (05/03/2019)</p>	<p>აკრედიტებულია , გადაწყვეტილება N722887, (24/08/2020)</p>	<p>აკრედიტებული გადაწყვეტილება N 943605, (02/08/2024)</p>
---	---	---	---

---

<sup>1</sup> (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კლასტერი აერთიანებს მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით მოქმედ სამ აკრედიტებულ პროგრამას, რომლებიც მოიცავს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურს: საბაკალავრო პროგრამას (აკრედიტებული 2019 წელს), სამაგისტრო პროგრამას (2015 წ.) და ახლახან აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამას (2024 წ.). აღნიშნული კომპლექსური შეთავაზება ასახავს მევენახეობისა და მელვინეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას საქართველოსთვის, რაც ქვეყნის აგრარული და ეკონომიკური სექტორების ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოში გაშენებულია დაახლოებით 50,000 ჰექტარი ვენახი, რომელიც ყოველწლიურად 300,000 ტონამდე ყურძენს აწარმოებს, ხოლო ღვინო ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საექსპორტო პროდუქტსა და ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენს. სექტორი ფართოვდება, რასაც ხელს უწყობს სახელმწიფო ინიციატივები, მწარმოებელი კომპანიების მზარდი რაოდენობა და ღვინის ტურიზმის (ენო ტურიზმის) სწრაფი განვითარება.

საქართველოს, როგორც მელვინეობის აკვნის, უნიკალური პოზიცია 8,000-წლიანი უწყვეტი ტრადიციითა და 525 ავტოქთონური ვახის ჯიშით, ქმნის გამორჩეულ სამეცნიერო და კულტურულ საფუძველს ამ პროგრამებისთვის. ტრადიციული მეთოდები - მათ შორის ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგია, რომელიც აღიარებულია UNESCO-სა და OIV-ის მიერ — თანაარსებობს თანამედროვე კვლევით ტენდენციებთან, როგორცაა გენეტიკური რესურსების შესწავლა, ადგილწარმოშობის დასახელების სისტემები და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა.

ბოლო წლებში მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით სტუდენტთა ინტერესი გაიზარდა, თუმცა შრომის ბაზარი კვლავ განიცდის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. არსებობს მზარდი საჭიროება ექსპერტიზისა წარმოების ტექნოლოგიების, მენეჯმენტის, რეგულირების, ციფრული სისტემებისა და სურსათის უვნებლობის მიმართულებით. ასევე შეზღუდულია კვლევითი პოტენციალი, განსაკუთრებით სადოქტორო საფეხურზე, სადაც 2024 წლამდე სპეციალიზებული პროგრამები არ არსებობდა.

ამ ეროვნულ საჭიროებებსა და გლობალურ შესაძლებლობებზე რეაგირების მიზნით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიმუშავა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ინტეგრირებული კლასტერი. მისი მიზანია პროფესიონალების და აკადემიური პერსონალის ახალი თაობის მომზადება, კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის სექტორის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა საუკეთესო გარემოში და გამოირჩეოდა ყველა დაინტერესებული მხარის მაღალი დონის თანამშრომლობით. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სრულად იყო ხელმისაწვდომი, მათ გამოავლინეს ძლიერი მოტივაცია და პროფესიონალიზმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა, რომელმაც უზრუნველყო

მაღალსტრუქტურირებული და სანდო მხარდაჭერა. ვიზიტს ესწრებოდნენ მრავალრიცხოვანი გარე პარტნიორები და კურსდამთავრებულები პროგრამებისა და უნივერსიტეტის მხარდასაჭერად, რაც ასახავს საზოგადოების ძლიერ ჩართულობას. სტუდენტებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი და თავიანთი გამოცდილება ნათლად და ღიად გამოხატეს. საერთო ჯამში, ვიზიტი უაღრესად პოზიტიური იყო და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შეფასების პროცესს.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ზოგადად, სამივე პროგრამა აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებს და ავლენს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროსთან შესაბამის ძლიერ აკადემიურ აქტუალობას. წარმოდგენილი რჩევები, პირველ რიგში, მიზნად ისახავს არსებული ძლიერი მხარეების განმტკიცებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალიზების, პერსონალის გადამზადების გაძლიერების, პროგრამის სტრუქტურისა და შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესების გზით. დამატებითი შესაძლებლობები იკვეთება მოდულარიზაციის გაფართოების, ბიბლიოგრაფიული რესურსების განახლებისა და ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების კუთხით, მობილობისა და ერთობლივი ინიციატივების მეშვეობით. ეს მიზნობრივი გაუმჯობესებები კიდევ უფრო განამტკიცებს კლასტერის შესაბამისობას გლობალურ საუკეთესო პრაქტიკასთან და მის შესაძლებლობას, უზრუნველყოს მაღალხარისხიანი, თანამედროვე განათლება.

▪ **რეკომენდაციები**

კლასტერული

არ არის მითითებული

**ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ტრანსვერსალური კომპეტენციები (ციფრული წიგნიერება, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და პროფესიული ეთიკა). 1.2

**ქართული მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს სილაბუსები. კერძოდ, აუცილებელია გადაიხედოს მითითებული ლიტერატურა, იმისათვის, რომ სრულად მოიცავდეს განახლებულ წყაროებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და მევენახეობასა და მეღვინეობაში განხორციელებულ საერთაშორისო კვლევებზე. სიცხადის და გამოყენებადობის გაუმჯობესების მიზნით, გასწორდეს პუბლიკაციის გამოტოვებული ან არასრული დეტალები. 1.5
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა აღნიშნული მიმართულებით, იმისათვის, რომ აამაღლოს მაგისტრანტების ცნობიერება სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ. 3.1

**მევენახეობისა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა**

არ არის მითითებული

- რჩევები

კლასტერული

- სასურველია, პროფესიულ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედების შემდგომი ფორმალიზება, მაგალითად, მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით, რომელიც რეგულარულად შეიკრიბება ინდუსტრიის განვითარებად საჭიროებებზე უკუკავშირის მისაწოდებლად და პროგრამის მიზნების პერიოდული დახვეწის მხარდასაჭერად. (1.1) 1.1
- სასურველია სწავლის შედეგების მკაფიოდ დაკავშირება (მეფინგი) მოდულებთან და შეფასების მეთოდებთან. 1.2
- სასურველია სწავლის შედეგების ფორმალური პრეზენტაციის მეტად ჰარმონიზაცია, რომ უკეთ იყოს შესაძლებელი მათი წაკითხვა გარე მხარეებისთვის და შედარება. 1.2
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და ხშირი ტრენინგი სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად. 1.3
- სასურველია პროგრამამ გადახედოს შეფასების გაუსის მეთოდის (მრუდით შეფასება) გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა ახდენს ნიშნების სტანდარტიზებას, მან შესაძლოა ხელოვნურად შეზღუდოს მაღალი მიღწევები და ვერ ასახოს ინდივიდუალური სწავლის შედეგები. კრიტერიუმებზე დაფუძნებულ შეფასებაზე გადასვლა, სადაც სტუდენტები ფასდებიან მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის მიზნების შესაბამისად და არა ფარდობითი შესრულების მიხედვით, უკეთ უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სამართლიანობას და სტუდენტების რეალური კომპეტენციების აღიარებას. 1.3
- სასურველია მევენახეობა-მელვინეობის პროგრამების კლასტერმა განიხილოს მოდულური სტრუქტურის შემოღება სწავლების ყველა საფეხურზე, რაც ხელს შეუწყობს მოქნილობას, პერსონალიზებულ სწავლებასა და სტუდენტთა მობილობას. (1.4)
- სასურველია, შემუშავდეს ყოვლისმომცველი მატრიცა, რომელიც დააკავშირებს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს (LOs) შესაბამის ECTS კრედიტთან. 1.5
- სასურველია, სტუდენტებისთვის დამატებით დაკონკრეტდეს დამოუკიდებელ სამუშაოს, შეფასებად აქტივობებსა და ECTS დატვირთვას შორის არსებული ურთიერთკავშირი. 1.5
- სასურველია აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. ასეთი მობილობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სწავლებისა და კვლევის გამდიდრებაში, ვინაიდან პერსონალს გააცნობს სხვადასხვა აკადემიურ კულტურას, ინოვაციურ პედაგოგიურ მიდგომებსა და უახლეს სამეცნიერო მიღწევებს. საერთაშორისო გაცვლების გაძლიერება არა მხოლოდ გააუმჯობესებს პერსონალის კომპეტენციებს, არამედ გააძლიერებს მევენახეობისა და მელვინეობის პროგრამების გლობალურ რელევანტურობასა და მიმზიდველობას. 4.3
- სასურველია, თანამედროვე დარგობრივი სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ლიტერატურის ეტაპობრივად

შემუშავება და გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და დაეხმარება სტუდენტებს დამოუკიდებელ მუშაობაში. 4.4

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზნად განისაზღვროს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება (რაც გულისხმობს ხარისხის მნიშვნელობის შესახებ ფართოდ გაზიარებულ ცნობიერებასა და პასუხისმგებლობას). 5.1

### **ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- სასურველია, სწავლის შედეგების გამარტივება დუბლირების შემცირებისა და სიცხადის გაუმჯობესების მიზნით. 1.2
- სასურველია, კურსების ბიბლიოგრაფიების დივერსიფიცირება და რეგულარული განახლება, მათ შორის მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში უახლესი კვლევების მრავალენოვან და მრავალფორმატიან წყაროებზე დაყრდნობით. 1.5
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებში სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. 3.1

### **ქართული მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- სასურველია, გარკვეული სწავლის შედეგების ფორმულირებების გადახედვა. 1.2
- სასურველია, სასწავლო გეგმის მოდულებად (სემესტრულ ერთეულებად) სტრუქტურირება, რაც გაზრდის მოქნილობას და გაამარტივებს სტუდენტთა მობილობას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მეშვეობით. 1.5
- სასურველია, მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო განზომილების გასაძლიერებლად შემუშავდეს მრავალმხრივი სტრატეგიები გლობალური ჩართულობის ხელშესაწყობად. ინოვაციური პედაგოგიური მიდგომები, როგორცაა საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობით შექმნილი ონლაინ კურსები, საზაფხულო სკოლებსა და ერთობლივ საერთაშორისო ვორქშოფებში მონაწილეობა, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გაეცნონ მრავალფეროვან აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტებს. 2.2
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა აქტიურად გაუწიონ კონსულტაცია სტუდენტებს უახლესი სტატიებისა და პუბლიკაციების გამოყენებასთან დაკავშირებით. 3.2
- სასურველია, სტუდენტთა რაოდენობის პოტენციური ზრდის გათვალისწინებით გაიზარდოს სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობები. 4.2

### **მევენახეობისა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა**

- სასურველია, სწავლის შედეგების უფრო მოკლე და სტრუქტურირებული ფორმით წარმოდგენა, რათა გაუმჯობესდეს მათი წაკითხვადობა. 1.2
- სასურველია, მევენახეობისა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამაში ყველა სტრუქტურირებულ კვლევით კომპონენტს, მათ შორის კოლოქვიუმებსა და

ფორმალიზებულ კვლევით აქტივობებს, მიენიჭოს შესაბამისი ECTS კრედიტები.  
1.4

- სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა საკმარისია სადოქტორო სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით, თუმცა ისინი ერთდროულად ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების ფუნქციასაც. სასურველია, ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდა, რათა უკეთ გადანაწილდეს სამუშაო დატვირთვა და გაძლიერდეს სტუდენტთა მხარდაჭერა. 4.2

**საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად:**

▪ **პერსონალი და ხელმძღვანელები**

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა

(მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი)

ბაკალავრიატი : 45

მაგისტრატურა: 20

დოქტორანტურა :14

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული

პერსონალის თანაფარდობა: 16/29

მაგისტრატურ

ა: 3/17

დოქტორანტუ

რა: 1/14

აფილირებული და აკადემიური

პერსონალის თანაფარდობა:

ბაკალავრიატი: 23/45

მაგისტრატურ

ა: 12/20

დოქტორანტუ

რა: 9/14

სამაგისტრო და/ან სადოქტორო სტუდენტების

რაოდენობის თანაფარდობა სამეცნიერო

ხელმძღვანელებთან: მაგისტრატურა: 12/27

დოქტორანტურა: 10/4

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის 2 მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

ბაკალავრიატი : 413 პუბლიკაცია ან  
პრეზენტაციები მაგისტრატურა: 304  
პუბლიკაცია ან პრეზენტაცია  
დოქტორანტურა: 225 პუბლიკაცია ან  
პრეზენტაცია

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);  
ბაკალავრიატი : 16,1%  
მაგისტრატურა :6,5 %  
დოქტორანტურა : 0
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.  
ბაკალავრიატი : 200 (+ 233%)  
მაგისტრატურა: 30 (+20%)  
დოქტორანტურა : 3

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>3</sup>

სამპროგრამიანი კლასტრის ხარისხის უზრუნველყოფის საერთო სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს და ეფუძნება მაღალკვალიფიციურ და ერთგულ გუნდს. სისტემა არის მყარი, კარგად სტრუქტურირებული და სრულად შესაბამისობაშია საერთაშორისო მოლოდინებთან. მისი ეფექტიანობის შემდგომი გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკების გავრცელების გაგრძელება ინსტიტუციის მასშტაბით, რათა ყველა თანამშრომელმა ეტაპობრივად განივითაროს ხარისხის საერთო კულტურა.

კიდევ ერთი ძლიერი მხარეა უნივერსიტეტის მდგრადი ინვესტიციები მასწავლებლების, მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის განკუთვნილ რესურსებში. ინფრასტრუქტურის უწყვეტი განვითარება, მათ შორის მეღვინეობის საწარმოო ობიექტი, ლაბორატორიები, სპეციალიზებული აღჭურვილობა, შენობები, ბიბლიოთეკა და ციფრული ინფრასტრუქტურა, ნათლად ასახავს ინსტიტუციის მტკიცე ვალდებულებას მაღალი ხარისხის განათლებისა და კვლევის მხარდაჭერისადმი.

▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

▪ ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე წინა შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა.

წინა რეკომენდაციები შესრულებულია, მათ შორის განხორციელებულია მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობაში. უნივერსიტეტი აგრძელებს ინფრასტრუქტურისა და რესურსების განვითარებას განათლებისა და კვლევის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

[სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო](#) დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების [აკრედიტაციის სტანდარტებთან](#) ერთად. [სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები \(იხილეთ ბმული\)](#)  
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)  
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო](#)  
[აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა შეფასების კრიტერიუმები](#)

**განმარტებები:**

რეკომენდაციები - რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

### **აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

### **შეფასების მიდგომები:**

კლასტერული შეფასება: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.

**ინდივიდუალური შეფასება :** საჭიროებისამებრ, ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. პროგრამის ინდივიდუალური შეფასება აუცილებელია დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ასევე ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელზეც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

№	დასახელება/სტანდარტი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.1	<a href="#">პროგრამის მიზნები</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.2	<a href="#">პროგრამის სწავლის შედეგები</a>	მეტწილად	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1,4	<a href="#">საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1,5	<a href="#">სასწავლო კურსი/საგანი</a>	შესაბამისობაშია	მეტწილად	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.1	<a href="#">პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.2	<a href="#">პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.3	<a href="#">სწავლება-სწავლის მეთოდები</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2,4	<a href="#">სტუდენტის შეფასება</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.1	<a href="#">სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები</a>	შესაბამისობაშია	მეტწილად	შესაბამისობაშია
3.2	<a href="#">მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</a>	-	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.1	<a href="#">ადამიანური რესურსები</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

4.2	<a href="#">მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</a>	-	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.3	<a href="#">აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4,4	<a href="#">მატერიალური რესურსი</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4,5	<a href="#">პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
<b>5</b>	<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	<b>შესაბამისობაშია</b>	<b>შესაბამისობაშია</b>	<b>შესაბამისობაშია</b>
5.1	<a href="#">შიდა ხარისხის შეფასება</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5.2	<a href="#">გარე ხარისხის შეფასება</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5,3	<a href="#">პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</a>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

## IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერული შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

პროგრამების საერთო მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თანმიმდევრულია და შესაბამისობაშია როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან, ისე ეროვნულ მოთხოვნებთან. მიზნები ითვალისწინებს მევენახეობა-მელვინეობის სექტორის სპეციფიკურ საჭიროებებს, რაც ეფუძნება დასაქმებადობისა და სექტორის განვითარების შესახებ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კვლევას. მათში ინტეგრირებულია ორი ბენჩმარკინგული ანალიზის დასკვნები, რომელთა მიზანია ქართული სპეციფიკის პოზიციონირება ეროვნული და საერთაშორისო თემატური უმაღლესი განათლების პროგრამების კონტექსტში. მიზნები მოიცავს განათლების სრულ

სპექტრს საბაკალავრო (VI დონე) პროგრამებიდან სადოქტორო (VIII დონე) პროგრამებამდე და მკაფიოდ განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამები ისახავს მიზნად კურსდამთავრებულებში. შესაბამისად, პროგრამების მიზნები სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და ეფუძნება სექტორის საჭიროებების ყოვლისმომცველ ანალიზს, რაც დადასტურებულია მევენახეობა-მელვინეობის ინდუსტრიაში ჩატარებული ეროვნული კვლევებით, და უზრუნველყოფს როგორც ეროვნულ პრიორიტეტებთან, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გარდა ამისა, პროგრამის მიზნები რეალისტურია და უზრუნველყოფილია საკმარისი ადამიანური რესურსებით, მათ შორის კვალიფიციური აკადემიური პერსონალითა და სპეციალიზებული მოდულების ექსპერტებით, აგრეთვე სათანადო ინფრასტრუქტურით - ლაბორატორიებით, ექსპერიმენტული ვენახებით, მელვინეობის აღჭურვილობით, ბიბლიოთეკებითა და ციფრული სასწავლო ინსტრუმენტებით. არსებობს ფინანსური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მდგრადობას, ხოლო აკადემიური დაგეგმვა უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას მიზნებს, სასწავლო კურსების შინაარსს, პრაქტიკულ მოდულებსა და კვლევით პროექტებს შორის. სტუდენტთა წარმატების მაღალი მაჩვენებლები დამატებით ადასტურებს აღნიშნული მიზნების მიღწევადობას.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს, განსაკუთრებით დარგის განვითარების მხარდაჭერას, ცოდნის შექმნასა და მევენახეობა-მელვინეობაში ქართული მემკვიდრეობის ხელშეწყობას. მიზნები გაზიარებული და კარგად გააზრებულია პროგრამაში ჩართული ყველა თანამშრომლის მიერ. ინტერვიუებიდან მიღებული მტკიცებულებები ადასტურებს მასწავლებლების, პროგრამის კოორდინატორებისა და გარე ექსპერტების აქტიურ მონაწილეობას მათი შემუშავების პროცესში, ხოლო მიზნების საჯარო ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ვებგვერდზე, პროგრამის გზამკვლევებსა და შიდა კომუნიკაციებში უზრუნველყოფს გამჭვირვალობას. პერიოდული შიდა შეფასებებისა და პერსონალისა და სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული კორექტირებები ადასტურებს ეფექტიანი მონიტორინგისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმების არსებობას.

საბაკალავრო დონეზე პროგრამის მიზნები ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე, რომელთაც შეუძლიათ ქართული ტრადიციული მევენახეობის პრაქტიკის ინტეგრირება თანამედროვე პროფესიულ მოთხოვნებთან. პროგრამა ხაზს უსვამს დარგობრივ წვლილს, კულტურულ მემკვიდრეობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას და ამზადებს კურსდამთავრებულებს ადგილობრივი და საერთაშორისო ღვინის ინდუსტრიის განვითარებაში პოზიტიური წვლილის შესატანად.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები სცდება მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენციებს და მოიცავს მდგრად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებს, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, ბაზარზე ორიენტირებული უნარებსა და კვლევითი პოტენციალის განვითარებას. ეს მიზნები ნათლად ასახავს პროგრამის წვლილს დარგის წინსვლაში, ინოვაციების ხელშეწყობასა და საზოგადოებრივ ჩართულობაში.

სადოქტორო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჰარმონიზებული კვლევაზე ორიენტირებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან. ისინი ორიენტირებულია ახალი ცოდნის

შექმნაზე, ინოვაციური კვლევების განხორციელებასა და მიღებული შედეგების სამეცნიერო და პროფესიულ საზოგადოებებში გავრცელებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კურსდამთავრებულთა დამოუკიდებელი კვლევის, ინტერდისციპლინური თანამშრომლობისა და დარგის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის მომზადებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო დღის წესრიგთან.

სამივე საფეხურზე პროგრამის მიზნები ხასიათდება გამჭვირვალობით, საჯარო ხელმისაწვდომობითა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ მისიასთან შესაბამისობით. ისინი ერთობლივად უზრუნველყოფენ, რომ კურსდამთავრებულებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებაში, მევენახეობა-მელვინეობაში ინოვაციების დანერგვასა და ფართო საზოგადოებრივ მიზნებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ქართული მევენახეობა და მელვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. ქართული მევენახეობა და მელვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. მევენახეობა და მელვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
4. ადგილზე ვიზიტი: თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრა, პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეხვედრა, სტუდენტებთან შეხვედრა, კურსდამთავრებულებთან შეხვედრა, დამსაქმებლებთან შეხვედრა
5. ბენჩმარქინგი: საერთაშორისო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და სადოქტორო პროგრამის მსოფლიო ანალოგები

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით რეკომენდაცია(ები):</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>ზოგადი რეკომენდაცია / რჩევა:</b></p>	<p>-</p>	<p>სასურველია, პროფესიულ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედების შემდგომი ფორმალიზება, მაგალითად, მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით,</p>

		რომელიც რეგულარულად შეიკრიბება ინდუსტრიის განვითარებად საჭიროებებზე უკუკავშირის მისაწოდებლად და პროგრამის მიზნების პერიოდული დახვეწის მხარდასაჭერად.
--	--	--

**შეფასება 4**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<b>1.1 - პროგრამის მიზნები</b>	
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო დონე VI	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო დონე VII	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, სადოქტორო დონე VIII	შესაბამისობაშია

**1.2. პროგრამის სწავლის შედეგები**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი- კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

**კლასტერის შეფასება**

**აღწერა და ანალიზი**

მევენახეობა და მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი ავლენს მნიშვნელოვან შესაბამისობას ეროვნულ სტანდარტებთან, რაც დასტურდება დამხმარე დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით. სწავლის შედეგები (LO) ლოგიკურად

უკავშირდება პროგრამის მიზნებს. ერთობლივად, პროგრამები წარმოაჩენს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც მოიცავს ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიას და აშკარად უკავშირდება მევენახეობა-მელვინეობის პროფესიულ პრაქტიკას. შინაარსი ასახავს ტექნიკურ კომპეტენციას, კვლევის გამოყენებასა და დარგობრივი სტანდარტების, მათ შორის ხარისხის კონტროლის, მდგრადობისა და საერთაშორისო ნორმების გააზრებას.

კლასტერულ დონეზე ძლიერ მხარეებს წარმოადგენს: სწავლის შედეგებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დონეების თანმიმდევრულობა, კომპეტენციების პროგრესული განვითარება ტექნიკური ცოდნიდან კვლევით ავტონომიამდე და პროფესიული უნარების ინტეგრაცია დისციპლინურ ცოდნასთან ერთად. პროგრამები ასევე გამოირჩევა ინოვაციაზე ორიენტაციით, სისტემური ხედვითა და გამოყენებითი კვლევის ძლიერი კომპონენტით. სწავლის შედეგები, ზოგადად, მკაფიო, გაზომვადი და რეალურ პრაქტიკაზე მორგებულია, რაც ასახავს კურსდამთავრებულთა დასაქმებადობისა და სამეცნიერო წვლილისადმი ერთგულებას.

ამასთან, სწავლის შედეგები პროგრამებს შორის განსხვავდება მოცულობით, სტილითა და კონკრეტულობით. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით მოქმედებითი ზმნები არათანაბრად არის გამოყენებული.

ტრანსვერსალური უნარები (ციფრული წიგნიერება, პროფესიული ეთიკა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და კვლევითი ლიდერობა) საჭიროებს უფრო მკაფიო ინტეგრირებას ყველა დონეზე. ზოგიერთი სწავლის შედეგი განმეორებადია, რაც გავლენას ახდენს სიცხადეზე.

საბოლოოდ, კლასტერი წარმოადგენს მყარ და თანმიმდევრულ პროგრამათა ერთობლიობას, რომელიც მნიშვნელოვნად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სწავლის შედეგების ფორმულირების მიზნობრივი დახვეწისა და ტრანსვერსალური კომპეტენციების გაძლიერების შედეგად შესაძლებელია სრული შესაბამისობის მიღწევა, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე პროგრესიას საბაზისო ცოდნიდან მოწინავე კვლევით კომპეტენციამდე.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი** – ქართული მევენახეობა და მელვინეობა, საბაკალავრო პროგრამა, VI დონე პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია. სწავლის შედეგები ეფექტურად მოიცავს ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიას და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის მოთხოვნებს, რომლებიც გულისხმობს ტექნიკური ამოცანების შესრულებას, ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებულ საქმიანობას და სტანდარტული პროცედურების დაცვას. სწავლის შედეგები ასახავს საწყისი დონის მელვინეებისათვის დამახასიათებელ კომპეტენციებს, მათ შორის ადგილის შერჩევას, ვენახის მართვას, კლასიკურ ენოლოგიას, ხარისხის მონიტორინგსა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუმცა, საბაზისო ტრანსვერსალური უნარების, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და ციფრული წიგნიერების ინტეგრაცია შეზღუდულია. მიზანშეწონილია უფრო მკაფიო დიფერენციაცია ფუნდამენტურ და მოწინავე ანალიტიკურ უნარებს შორის.

აღწერა და ანალიზი – მევენახეობა და მეღვინეობა, სადოქტორო პროგრამა, VIII დონე  
 პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია. სწავლის შედეგები (LO) ზოგადად ასახავს VIII დონის მოთხოვნებს, მათ შორის კვლევით ავტონომიას, კვლევითი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას, სამეცნიერო შედეგების გავრცელებასა და სასწავლო საქმიანობას. ძლიერ მხარეზად აღინიშნება მეთოდოლოგიური მომზადება, პროექტების მართვის უნარები და სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებისთვის საჭირო მზაობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
4. კურსის სილაბუსები
5. ადგილზე ვიზიტი: შეხვედრა თვითშეფასების გუნდთან, შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან, შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შეხვედრა სტუდენტებთან, შეხვედრა კურსდამთავრებულებთან

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით რეკომენდაცია(ები):</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
---	---	--

<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები</b></p>	<p>-</p>	<p>სასურველია,</p> <ol style="list-style-type: none"> <li>i. სწავლის შედეგების ფორმალური პრეზენტაციის მეტად ჰარმონიზაცია, რომ უკეთ იყოს შესაძლებელი მათი წაკითხვა გარე მხარეებისთვის და</li> <li>ii. სასურველია სწავლის შედეგების მკაფიოდ დაკავშირება (მეფინგი) მოდულებთან და შეფასების მეთოდებთან.</li> </ol>
---	----------	--

ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა, დონე VI	რეკომენდებულია, გაძლიერდეს ტრანსვერსალური კომპეტენციები (ციფრული წიგნიერება, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და პროფესიული ეთიკა).	სასურველია, სწავლის შედეგების გამარტივება დუბლირების შემცირებისა და სიცხადის გაუმჯობესების მიზნით.
ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო პროგრამა, დონე VII	-	სასურველია, გარკვეული სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა
სადოქტორო პროგრამა მევენახეობა და მეღვინეობა, VIII დონე	-	სასურველია, სწავლის შედეგების უფრო მოკლე და სტრუქტურირებული ფორმით წარმოდგენა, რათა გაუმჯობესდეს მათი

## შეფასება

კომპონენტი <u>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</u>	შეფასება
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო დონე VI	მეტწილად შესაბამისობაშია
ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო პროგრამა, დონე VII	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, სადოქტორო დონე VIII	შესაბამისობაშია

### 1.3.პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შეფასება  
აღწერა და ანალიზი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ფარგლებში შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია „პროგრამის სწავლის შედეგების (PLO) შეფასების მექანიზმზე“.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სფეროსთვის სპეციფიკური პერიოდულობით. პროგრამები წარმოადგენენ მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის თავსებადობის რუკას. პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა გვიჩვენებს კურსის სწავლის შედეგ(ებ)ის შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან და აჩვენებს, თუ რა დონეზე მუშავდება/მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი (გაცნობა, გაღრმავება, დაუფლება). სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტების მიერ; მექანიზმის გამოყენება და შეფასების განხორციელება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ექვემდებარება მონიტორინგს და ხდება მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სტუდენტების სწავლის შედეგებს მიღწევის მოლოდინს. თითოეული სწავლის შედეგი გამოხატავს კონკრეტულ უნარს და ცოდნას, რომელიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. აღნიშნული ცოდნისა და უნარების შემენა და განვითარება ხორციელდება კონკრეტული აკადემიური კურსების კომბინაციით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი იყენებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მეთოდებს.

უნივერსიტეტი მიმართავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას არაპირდაპირი მეთოდით, კერძოდ, შემუშავებულია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა, რომლის მეშვეობითაც კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ მიზნობრივ ნიშნებთან.

პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; თუმცა, ზოგიერთ მათგანს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და ხშირი ტრენინგი სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად.

უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, ბაკალავრიატი)**

პირდაპირი შეფასების მიზნებისთვის, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინა კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლებიც კრიტიკულ როლს თამაშობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და ათვისებაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება შედეგების დაუფლების დონეზე, რაც ამ პროგრამაში მიიღწევა შემდეგი კომპონენტების შეფასების შედეგების მეშვეობით: მევენახეობა-1 (ამპელოგრაფია),

მევენახეობა-2 (აგროტექნოლოგია), ენოქიმიის საფუძვლები , პროფესიული ინგლისური-2, მავნებლებისა და დაავადებების ინტეგრირებული მართვა მევენახეობაში, ენოლოგია-1 (მელვინეობის ტექნოლოგიები), მელვინეობის ლაბორატორიული კურსი, ენოლოგია-2 ( ქვევრის ღვინის ტექნოლოგიები, ღვინის გადამუშავება-მდგრადობა), მევენახეობის ლაბორატორიული კურსი, სტაჟირება მევენახეობის აგროტექნოლოგიაში, ბრენდის ტექნოლოგია, სტაჟირება მელვინეობაში, ვაზისა და ღვინის სამართალი, პრაქტიკული კურსი მიკროვინიფიკაციაში , ღვინის სენსორული შეფასების თეორია და პრაქტიკა, მელვინეობის ინჟინერია, სურსათის უვნებლობა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი შეფასების მეთოდები: ღია კითხვები, თეორიული კითხვები, პრეზენტაციები, პრაქტიკული დავალებები, პროექტის პრეზენტაციები და საბაკალავრო პროექტი. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების გამოყენებით. შეფასების სამი დონეა დადგენილი: ნაწილობრივ აკმაყოფილებს, დიდწილად აკმაყოფილებს და აკმაყოფილებს. მონაცემთა შეგროვება ორჯერ განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში). მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება ჩატარდება ორ ეტაპად, პირდაპირი შეფასების მეთოდებით მიღებული შედეგების საფუძველზე. პირველ ეტაპზე, სტუდენტები რანჟირდებიან მათი ქულების მიხედვით. გამოიყენება ნორმალური, გაუსის განაწილება, რაც ნიშნავს, რომ გარკვეული ტიპის დამოუკიდებელი და იდენტურად განაწილებული შემთხვევითი ცვლადების არითმეტიკული საშუალო მიისწრაფვის სტანდარტული ნორმალური განაწილებისკენ. გაუსის ნორმალური განაწილების პრინციპის შესაბამისად, სამიზნე ქულათა განაწილება შემდეგია: 1. სტუდენტების 10% მიიღებს A შეფასებას. 2. 20% მიიღებს B შეფასებას. 3. 40% მიიღებს C შეფასებას. 4. 20% მიიღებს D შეფასებას. 5. 10% მიიღებს E შეფასებას. თუ მოსალოდნელი ნორმალური განაწილებიდან 5-10%-იანი გადახრა დაფიქსირდება, გადაიხედება სწავლის შედეგები და მათი მიღწევის მექანიზმები. გარდა ამისა, თუ სტუდენტების 25%-ზე მეტი მიიღებს F (ჩაჭრილ) შეფასებას, სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდებიც ხელახლა შეფასდება. მოცემული მიზნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გამოიძიოს მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები; ხოლო შემდგომ ეტაპზე პროცესებს აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რეაგირება საჭირო იქნება, თუ ორწლიანი დაკვირვების შემდეგ, ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი შედეგი ყოველწლიურად ერთსა და იმავე სასწავლო კურსში თანმიმდევრულად ფიქსირდება. გარდა ამისა, რეაგირება შეიძლება საჭიროდ ჩაითვალოს სხვა შემთხვევებშიც, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

## **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული მევენახეობა და მელვინეობა, მაგისტრატურა)**

პირდაპირი შეფასების მიზნებისთვის, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინა კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლებიც კრიტიკულ როლს თამაშობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და ათვისებაში. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი შეფასების მეთოდები: დასკვნითი გამოცდა, ლაბორატორიული სამუშაოები, წერილობითი გამოკითხვა, ტესტირება, ქვიზი, პრაქტიკული დავალება, ჯგუფური დავალება, კოლოქვიუმი, პროექტი, სტაჟირება, სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების გამოყენებით. შეფასების სამი დონეა დადგენილი: ნაწილობრივ აკმაყოფილებს, დიდწილად აკმაყოფილებს და აკმაყოფილებს. მონაცემთა შეგროვება ორჯერ განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში). მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება ჩატარდება ორ ეტაპად,

პირდაპირი შეფასების მეთოდებით მიღებული შედეგების საფუძველზე. პირველ ეტაპზე სტუდენტები რანჟირდებიან მათი ქულების მიხედვით. გამოიყენება ნორმალური, გაუსის განაწილება, რაც ნიშნავს, რომ გარკვეული ტიპის დამოუკიდებელი და იდენტურად განაწილებული შემთხვევითი ცვლადების არითმეტიკული საშუალო მისწრაფვის სტანდარტული ნორმალური განაწილებისკენ. გაუსის ნორმალური განაწილების პრინციპის შესაბამისად, სამიზნე ქულათა განაწილება შემდეგია: 1. სტუდენტების 10% მიიღებს A შეფასებას. 2. 20% მიიღებს B შეფასებას. 3. 40% მიიღებს C შეფასებას. 4. 20% მიიღებს D შეფასებას. 5. 10% მიიღებს E შეფასებას. თუ მოსალოდნელი ნორმალური განაწილებიდან 5-10%-იანი გადახრა დაფიქსირდება, გადაიხედება სწავლის შედეგები და მათი მიღწევის მექანიზმები. გარდა ამისა, თუ სტუდენტების 25%-ზე მეტი მიიღებს F (ჩაჭრილ) შეფასებას, სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდებიც ხელახლა შეფასდება. მოცემული მიზნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გამოიძიოს მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები; ხოლო შემდგომ ეტაპზე პროცესებს აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რეაგირება საჭირო იქნება, თუ ორწლიანი დაკვირვების შემდეგ, ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი შედეგი ყოველწლიურად ერთსა და იმავე სასწავლო კურსში თანმიმდევრულად ფიქსირდება. გარდა ამისა, რეაგირება შეიძლება საჭიროდ ჩაითვალოს სხვა შემთხვევებშიც, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მევენახეობა და მეღვინეობა, დოქტორანტურა)**

პირდაპირი შეფასების მიზნებისთვის, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინა კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლებიც კრიტიკულ როლს თამაშობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და ათვისებაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება შედეგების დაუფლების დონეზე, რაც ამ პროგრამაში მიიღწევა შემდეგი კომპონენტების შეფასების შედეგების მეშვეობით: სტატისტიკური კვლევის მეთოდები მევენახეობასა და მეღვინეობაში, თანამედროვე სწავლების მეთოდები, თემატური სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, სამეცნიერო ნაშრომის კოლოკვიუმი - 3, დისერტაციის დასრულება და დაცვა. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი შეფასების მეთოდები: პრეზენტაციები, დავალებები, საგამოცდო დავალებები, პროექტები და კვლევით კომპონენტში მიღებული დადებითი შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების გამოყენებით. შეფასების სამი დონეა დადგენილი: ნაწილობრივ აკმაყოფილებს, დიდწილად აკმაყოფილებს და აკმაყოფილებს. მონაცემთა შეგროვება ორჯერ განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში). დოქტორანტურის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამა ჩატარდება ორ ეტაპად, პირდაპირი შეფასების მეთოდებით მიღებული შედეგების საფუძველზე. პირველ ეტაპზე სტუდენტები რანჟირდებიან მათი ქულების მიხედვით. თუ სასწავლო შედეგების სამიზნე საორიენტაციო მაჩვენებლიდან 5%-ზე მეტი გადახრა შეინიშნება, გადაიხედება უშუალოდ სწავლის შედეგები, ასევე მათი მიღწევის მექანიზმები. გადახედვა ასევე საჭირო იქნება, თუ სტუდენტების 20%-ზე მეტი ზედიზედ ორი სასწავლო წლის განმავლობაში მიიღებს არადაამაკმაყოფილებელ შეფასებას. მოცემული მიზნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გამოიძიოს მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები; ხოლო შემდგომ ეტაპზე პროცესებს აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რეაგირება საჭირო იქნება, თუ ორწლიანი დაკვირვების შემდეგ, ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი შედეგი ყოველწლიურად ერთსა და იმავე სასწავლო კურსში თანმიმდევრულად ფიქსირდება. გარდა

ამისა, რეაგირება შეიძლება საჭიროდ ჩაითვალოს სხვა შემთხვევებშიც, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- 1/ მევენახეობისა და მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი; 2/ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- 3/ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- 4/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- 5/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- 6/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- 7/ ექსპერტთა პანელის შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ მიუთითოთ, ამ დოკუმენტის შესაბამისად ინდივიდუალური პროგრამები (ასეთის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ები):</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
---	---	---

<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რ ჩევები</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>i. სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და ხშირი ტრენინგი სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად.</p> <p>ii. სასურველია პროგრამამ გადახედოს შეფასების გაუსის მეთოდის (მრუდით შეფასება) გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასებების სტანდარტიზაციას სხვადასხვა ნაკადებს შორის, მას შეუძლია ხელოვნურად შეზღუდოს მაღალი აკადემიური მიღწევები, შექმნას არასაჭირო კონკურენცია სტუდენტებს შორის და ვერ ასახოს ინდივიდუალური სწავლის შედეგები სათანადო სიზუსტით.</p> <p>კრიტიკურობებზე დაფუძნებულ შეფასებაზე გადასვლა, რომლის ფარგლებში სტუდენტები ფასდებიან მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის მიზნების შესაბამისად და არა ერთმანეთთან შედარებით, უკეთ უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სამართლიანობას</p>
---	---------------------------	--

		და სტუდენტების რეალური კომპეტენციების აღიარებას.
ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო პროგრამა, დონე VII	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<b>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</b>	
მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო დონე VI	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო დონე VII	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, სადოქტორო დონე VIII	შესაბამისობაშია

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ-ში სამეცნიერო-კვლევითი

საქმიანობის განვითარებას და დარგობრივი, სამეცნიერო თანამშრომლობისა და პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სასწავლო სფეროს თავისებურებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს და/ან საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სამრეწველო და/ან სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გადრმავეებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო სფეროებს შორის თანამშრომლობის განვითარებას ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, საკვლევო სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს სადოქტორო სტუდენტებში ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა: კვლევით-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/შემსრულებლობითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების დანერგვის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართვა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა (ზედამხედველობა), კარიერული განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), მოსაზრებების პოპულარულ-სამეცნიერო ენით გამოხატვა და სხვ.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა საკვლევო თემის შერჩევის, შეცვლისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევით დარგ(ებ)თან შესაბამისობაში და სადოქტორო სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო დონეზე შესრულებას, აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის პირობებში.
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევო თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის**

## მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

მევენახეობისა და მეღვინეობის პროგრამების კლასტერი ნათლად ავლენს ერთგულებას მაღალი ხარისხის განათლებისადმი და შესაბამისობაშია როგორც ეროვნულ მოთხოვნებთან, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს პროგრამების განვითარების სისტემური მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მოსამზადებელ კვლევებს, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, SWOT-ანალიზს, სტრატეგიულ დაგეგმვასა და უწყვეტ შეფასებას. აღნიშნული ყოვლისმომცველი მიდგომა უზრუნველყოფს თითოეული პროგრამის თანმიმდევრულობას, ლოგიკურ სტრუქტურირებასა და დაგეგმილ სწავლის შედეგებთან შესაბამისობას.

*პროგრამის ინდივიდუალურობა და სიცხადე:* პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა საგულდაგულოდ არის შემუშავებული მათი უნიკალური იდენტობის ასახვისთვის. თითოეული კურსისთვის წარმოდგენილია დეტალური და მკაფიო სილაბუსები, სადაც განსაზღვრულია სწავლის მიზნები, სწავლების მეთოდები, შეფასების სტრატეგიები და საჭირო რესურსები. დეტალიზაციის აღნიშნული დონე უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ეხმარება სტუდენტებს აკადემიური გზის ეფექტიანად დაგეგმვაში, რითაც კიდევ უფრო მტკიცდება თითოეული პროგრამის ინდივიდუალურობა და მთლიანობა.

*თანამშრომლობითი განვითარება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:* პროგრამების განვითარება წარმოადგენს მაღალი დონის კოლაბორაციულ პროცესს, რომელშიც ჩართული არიან აკადემიური პერსონალი, კვლევითი პერსონალი, მოწვეული ლექტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ეს ჩართულობა დადასტურებულია ინტერვიუებით, უკუკავშირის სესიებითა და გამოკითხვებით. სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ კურსების შეფასებაში და წარადგენენ მოსაზრებებს, რომლებიც გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისთვის, რაც ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულობასა და ეფექტიანობას.

*პროგრამების ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა* უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული პროგრამის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ვებგვერდი, რომელიც წარმოდგენილია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, აერთიანებს ყველა მნიშვნელოვან დეტალს, მათ შორის კურსების აღწერას, ჩარიცხვის მოთხოვნებს, სწავლის შედეგებსა და საკონტაქტო ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და მარტივ ხელმისაწვდომობას როგორც პოტენციური, ისე მოქმედი სტუდენტებისთვის.

*ახალი კვლევებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ინტეგრაცია:* პროგრამები აქტიურად მოიცავს მევენახეობასა და მეღვინეობაში უახლეს კვლევით და სამეცნიერო მიღწევებს. კარგად აღჭურვილი კვლევითი ინფრასტრუქტურა და მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ თანამედროვე კვლევით პროექტებში, რაც უზრუნველყოფს სწავლების აქტუალურობასა და მტკიცებულებებზე

დაფუძნებულ ხასიათს.

საბაკალავრო პროგრამა (240 ECTS) გამოირჩევა სავალდებულო და არჩევითი კურსების კარგად დაბალანსებული სტრუქტურით, რომელიც მოიცავს საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და დარგობრივ კომპონენტებს. სასწავლო პროგრესია საბაზისო თემებიდან მოწინავე საკითხებამდე მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც ხელს უწყობს როგორც კომპეტენციების განვითარებას, ისე აკადემიურ წინსვლას. ანალოგიურად, სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS) ეფექტიანად აერთიანებს სავალდებულო, არჩევით, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს, რაც ხელს უწყობს პროფესიული, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური უნარების განვითარებას.

საერთო ჯამში, კლასტერი მაღალ დონეზე შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამები სარგებლობს აკადემიური პერსონალის, მოწვეული ექსპერტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ამასთან, პროგრამებს შეუძლია დამატებითი სარგებელი მიიღოს უფრო მეტად მოდულური სტრუქტურის დანერგვისგან, რომელიც ამჟამად საქართველოში ნაკლებად გამოიყენება. მოდულური სისტემა გაზრდიდა მოქნილობას, ხელს შეუწყობდა სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და გააძლიერებდა სემესტრულ მობილობას, რაც შეესაბამება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის პრაქტიკას და ხელს უწყობს საერთაშორისო გაცვლით შესაძლებლობებს.

აღწერა და ანალიზი – მევენახეობა და მეღვინეობა, სადოქტორო პროგრამა, VIII დონე

პროგრამა ეფუძნება უნივერსიტეტის ჩამოყალიბებულ კვლევით პოტენციალსა და მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში განხორციელებულ წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს სადოქტორო სწავლების მყარ საფუძველს. კვლევაზე ორიენტირებული დისერტაციების ინტეგრაციისა და აკადემიურ და ინდუსტრიულ პარტნიორებთან ურთიერთქმედების გზით, პროგრამა აძლიერებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და ხელს უწყობს პროფესიულ და დარგობრივ თანამშრომლობას. პროგრამის შინაარსი მოიცავს მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროს საკვანძო საკითხებს და ხელს უწყობს არა მხოლოდ დარგისა და ინდუსტრიის განვითარებას, არამედ ფართო ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესს.

50 ECTS-იანი სასწავლო კომპონენტი მხარს უჭერს კვლევით საქმიანობას მეთოდოლოგიური უნარებისა და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებით და ამავდროულად აღრმავებს სტუდენტების ცოდნას თანამედროვე ტენდენციების შესახებ, რაც ქმნის სტრუქტურირებულ საფუძველს დამოუკიდებელი კვლევისთვის. გარდა ამისა, პროგრამა ხელს უწყობს ინოვაციური მეთოდოლოგიებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებას და ახალისებს ისეთ კვლევებს, რომლებიც აერთიანებს მევენახეობისა და მეღვინეობისთვის რელევანტურ მრავალ სამეცნიერო დარგს. სწავლების განმავლობაში დოქტორანტები

იმენენ ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორცაა კვლევის დაგეგმვა, გრანტების მოპოვება, პროექტის მართვა, ტექნოლოგიური ტრანსფერი, ლიდერობა, კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება და სამეცნიერო კომუნიკაცია.

საკვლევი თემების შერჩევის, შეცვლისა და განხორციელების მკაფიო მექანიზმები უზრუნველყოფს თემების სტუდენტთა ინტერესებთან შესაბამისობას აკადემიური კეთილსინდისიერების სრული დაცვით.

თითოეული დოქტორანტი ამუშავებს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას, რომელიც მოიცავს კვლევის მიზნებს, მეთოდოლოგიას, დისერტაციის სტრუქტურასა და ვადებს, რაც ხელს უწყობს ნაშრომის დროულ დასრულებას. დაბოლოს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს კვლევის ეთიკის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტანდარტების სრულ დაცვას და ეთიკურ პრაქტიკას აერთიანებს სადოქტორო პროგრამის ყველა ეტაპზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
4. კურსის სილაბუსები
5. ადგილზე ვიზიტი: შეხვედრები თვითშეფასების გუნდთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები</b></p>		<p>სასურველია მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამების კლასტერმა განიხილოს მოდულური სტრუქტურის შემოღება სწავლების ყველა საფეხურზე, რაც ხელს შეუწყობს მოქნილობას,</p>

		პერსონალიზებულ სწავლებასა, სტუდენტთა მობილობას, და საერთაშორისო აღიარებას.
მევენახეობა-მელვინეობის სადოქტორო		სასურველია, მევენახეობისა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამაში ყველა სტრუქტურირებულ კვლევით კომპონენტს, მათ შორის კოლოქვიუმებსა და ფორმალიზებულ კვლევით აქტივობებს, მიენიჭოს შესაბამისი ECTS

**შეფასება**

კომპონენტი <a href="#">1.4. სტრუქტურა და შინაარსი საგანმანათლებლო პროგრამა</a>	შეფასება
ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, დონე VI	შესაბამისობაშია
ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო პროგრამა, დონე VII	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, დონე VIII	შესაბამისობაშია

**1.5. აკადემიური კურსი/საგანი**

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- > სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის**

## მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

სამივე პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) ანალიზი ადასტურებს აკადემიური არქიტექტურის თანმიმდევრულობასა და გამართულობას; ყველა სილაბუსი წარმოდგენილია და ხასიათდება დეტალიზაციისა და სიცხადის მაღალი დონით. სწავლის შედეგებს, კურსის შინაარსსა და სტუდენტთა დატვირთვას შორის შესაბამისობა ნათლად იკვეთება;

თუმცა თითოეულ ECTS კრედიტზე მინიმალური საათობრივი დატვირთვის თანაფარდობა საჭიროებს დამატებით დასაბუთებას, სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსები ზოგადად გამართულია, ბიბლიოგრაფიული წყაროები განსხვავდება ფორმისა და სიღრმის მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ლიტერატურის შევსება უახლესი საერთაშორისო კვლევებით, განსაკუთრებით კი მაღალი ხარისხის, რეცენზირებადი სამეცნიერო წყაროების ინტეგრაციის გზით.

პედაგოგიური პროგრესია თითოეულ პროგრამაში მყარია; მკაფიოდ არის განსაზღვრული წინაპირობები და დაცულია თეორიისა და პრაქტიკის ბალანსი. სამაგისტრო პროგრამა გამოირჩევა ქართული მევენახეობის მემკვიდრეობაზე დაფუძნებული სპეციალიზაციით, ხოლო სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს ძლიერ მეთოდოლოგიურ საფუძველს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კარგად არის ჩამოყალიბებული და მოიცავს შეფასების შედეგების სისტემურ ანალიზსა და შემდგომ მაკორექტირებელ ქმედებებს.

კურსებს შორის კრედიტების განაწილების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სწავლის შედეგებისა და ECTS კრედიტების ერთიანი მატრიცის დანერგვა გაზრდიდა გამჭვირვალობას, შედარებადობასა და შიდა თანმიმდევრულობას კლასტრის მასშტაბით. ვრცელი სამეცნიერო და ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უჭერს მხარს სტუდენტთა სწავლებას.

### ინდივიდუალური შეფასება -

**აღწერა და ანალიზი** – ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა, VI დონე მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა მყარად ჩამოყალიბებული საბაზისო სტრუქტურით და სტუდენტებს სთავაზობს მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში აუცილებელ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. სავალდებულო ძირითადი კურსები თანმიმდევრულად არის სტრუქტურირებული და უზრუნველყოფს პროგრესულად განვითარებად კომპეტენციებს, რომლებიც საფუძვლად უდევს შემდგომ სპეციალიზაციას. არჩევითი კურსები სტუდენტებს აძლევს მოქნილობას კონკრეტული ინტერესების განვითარებისთვის და ინდივიდუალური კარიერული მიზნების მისაღწევად, რაც აძლიერებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ განვითარებას. პროგრამის ყურადღება ქართული ტრადიციული მეღვინეობის პრაქტიკისადმი, მათ შორის ქვევრის ტექნოლოგიისადმი, ეფექტურად აერთიანებს კულტურულ მემკვიდრეობას ტექნიკურ განათლებასთან, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და აერთიანებს ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას. შეფასების სტრატეგია მოიცავს უწყვეტ შეფასებას საშინაო დავალების, ქვიზების, შუალედური და საბოლოო გამოცდების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სტუდენტის მოსწრებისადმი ყოვლისმომცველ მიდგომას. ბიბლიოთეკის ფართო რესურსების, ელექტრონული მონაცემთა ბაზების და კვალიფიციური პერსონალის ხელმძღვანელობის ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტების აკადემიურ მხარდაჭერას.

თუმცა, აღინიშნება გასაუმჯობესებელი მხარეები. მიუხედავად იმისა, რომ კურსის დონის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული, სილაბუსებში, როგორც წესი, არ არის მოცემული დეტალური ინსტრუქცია სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისა და თვითმართვადი სწავლის სპეციფიკური მოლოდინების შესახებ. გარდა ამისა, სილაბუსებში ნახსენები ზოგიერთი პედაგოგიური მეთოდი შეიძლება უფრო ნათლად იყოს დაკავშირებული სწავლის შედეგებთან და უკეთ იყოს ინტეგრირებული ინოვაციური სწავლების მიდგომები, როგორცაა ციფრული ინსტრუმენტები, შერეული სწავლება ან საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები.

საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სასწავლო მუშაობას შორის დატვირთვის განაწილების დაზუსტება, შეფასების კრიტერიუმების სტანდარტიზაცია და ყველა სასწავლო მასალის განახლების უზრუნველყოფა გაზრდის პროგრამის გამჭვირვალობასა და ხარისხს. ამ საკითხების მოგვარება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა არა მხოლოდ შეიძინონ საბაზისო ცოდნა, არამედ განივითარონ ავტონომიურობა, კრიტიკული აზროვნება და პრაქტიკული კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

**აღწერა და ანალიზი** — მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე

სამაგისტრო პროგრამა ეფექტიანად ეფუძნება საბაკალავრო პროგრამის საფუძვლებს და სტუდენტებს სთავაზობს გაღრმავებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში.

ძირითადი კურსები კარგად არის სტრუქტურირებული და მოიცავს როგორც ტრადიციული ქართული მეღვინეობის ტექნოლოგიებს, მათ შორის ქვევრის ტექნოლოგიასა და კონტროლირებადი დასახელების წარმოშობის (PDO) ღვინოებს, ისე თანამედროვე სამეცნიერო მიდგომებს. არჩევითი კურსები სტუდენტებს აძლევს სპეციალიზაციის შესაძლებლობას ისეთ მიმართულებებში, როგორცაა ენოტურიზმი, ღვინის კანონმდებლობა, მარკეტინგი და საერთაშორისო პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს როგორც აკადემიური სიღრმის, ისე პროფესიული მზაობის განვითარებას. პროგრამაში პრაქტიკული უნარებისა და კვლევითი მეთოდოლოგიისადმი განსაკუთრებული ყურადღება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ღვინის ინდუსტრიაში.

სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს ლექციებს, სემინარებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, დემონსტრაციებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს. სტუდენტთა კომპეტენციების ყოვლისმომცველი შეფასება ხორციელდება მიმდინარე შეფასების მეშვეობით, რომელიც მოიცავს ტესტებს, საშინაო დავალებებს, შუალედურ და საბოლოო გამოცდებს.

ბიბლიოთეკის მდიდარი რესურსები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები, მათ შორის Scopus და ScienceDirect, მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს კვლევით საქმიანობასა და დამოუკიდებელ სწავლებას.

ამასთან, სილაბუსებში ზოგადად საჭიროა დამოუკიდებელი სტუდენტური მუშაობის უფრო

დეტალური აღწერა და თვითმართვადი სწავლის მიმართ კონკრეტული მოლოდინების განსაზღვრა. ბიბლიოგრაფიული წყაროები რეგულარულად უნდა განახლდეს უახლესი საერთაშორისო ლიტერატურის ჩართვით. გარდა ამისა, არსებობს პროგრამის საერთაშორისო განზომილების გაძლიერების მნიშვნელოვანი პოტენციალი. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ონლაინ კურსების დანერგვა, საზაფხულო სკოლებსა და საზღვარგარეთ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის წახალისება, აგრეთვე სასწავლო გეგმის მოდულარიზაცია სტუდენტთა მობილობის ხელშესაწყობად, გააფართოებდა სტუდენტების გლობალურ ხედვას, გააძლიერებდა მათ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და გააძლიერებდა დასაქმების შესაძლებლობებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
4. კურსის სილაბუსები
5. ადგილზე ვიზიტი: შეხვედრები თვითშეფასების გუნდთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ბიბლიოთეკის მონახულება.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით რეკომენდაცია(ები):</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
---	---	---

<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები</p>	<p>-</p>	<p>სასურველია,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>i. შემუშავდეს ყოვლისმომცველი მატრიცა, რომელიც დააკავშირებს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს (LOs) შესაბამის ECTS კრედიტთან.</li> <li>ii. სასურველია, სტუდენტებისთვის დამატებით დაკონკრეტდეს დამოუკიდებელ სამუშაოს, შეფასებად აქტივობებსა და ECTS დატვირთვას შორის არსებული ურთიერთკავშირი.</li> </ul>
<p>ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო პროგრამა, დონე VI</p>	<p>-</p>	<p>სასურველია, კურსების ბიბლიოგრაფიების დივერსიფიცირება და რეგულარული განახლება მათ შორის მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში უახლესი კვლევების მრავალენოვან და მრავალფორმატიან წყაროებზე დაყრდნობით.</p>
<p>ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო პროგრამა, დონე VII</p>	<p>რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს სილაბუსები. კერძოდ, აუცილებელია გადაიხედოს მითითებული ლიტერატურა, იმისათვის, რომ სრულად მოიცავდეს განახლებულ წყაროებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და მევენახეობასა და მეღვინეობაში განხორციელებულ საერთაშორისო კვლევებზე. სიცხადის და გამოყენებადობის გაუმჯობესების მიზნით, გასწორდეს პუბლიკაციის გამოტოვებული ან არასრული დეტალები.</p>	<p>სასურველია, სასწავლო გეგმის მოდულურად (სემესტრულ ერთეულებად) სტრუქტურირება, რაც გაზრდის მოქნილობას და გააადვილებს სტუდენტთა მობილობას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მეშვეობით.</p>

შეფასება `

კომპონენტი 1.5. აკადემიური კურსი/საგანი	შეფასება
ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო დონე VI	შესაბამისობაშია
ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო დონე VII	მეტწილად შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობა, სადოქტორო დონე VIII	შესაბამისობაშია

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები საჯაროა, ისინი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ასევე ინფორმაციას ხელმძღვანელის კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ ჩატარებული კვლევების მხარდაჭერის/წახალისების მექანიზმების შესახებ და სხვა ინფორმაციას;
- სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები ითვალისწინებს აპლიკანტთა გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასებას, რომლებიც აუცილებელია პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის;
- სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისას გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო კვლევის ან შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო სტუდენტთა პროგრამაზე მიღება ხორციელდება კომისიის საფუძველზე;
- დაწესებულება განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამაზე მიღები კომისიის შემადგენლობის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა შეფასებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.
- დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი კომისიას წარუდგენს კვლევით/შემოქმედებით ნაშრომს/პროექტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინა ნაშრომის/პუბლიკაციის არსებობა და/ან სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა და/ან მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;

- სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას განისაზღვრება უცხო ენის ცოდნის დონე. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაში ჩართული პირი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთ სხვა დასავლეთ-ევროპულ ენას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენას მინიმუმ B1 დონეზე.
- სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას გათვალისწინებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსები, მათ შორის სადოქტორო ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობა. ასევე გათვალისწინებულია დროულად დასრულებული სადოქტორო პროგრამების ანალიზის შედეგები.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე დაშვების მოთხოვნები გამოირჩევა გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მაღალი დონით. ყველა წინაპირობა ნათლად არის გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას აბიტურიენტებისთვის.

საბაკალავრო პროგრამისთვის მოთხოვნები უზრუნველყოფს, რომ აპლიკანტებს გააჩნდეთ ზოგადი საშუალო განათლების საფუძვლიანი ცოდნა ან მასთან გათანაბრებული კომპეტენცია, ეროვნული გამოცდებისგან გათავისუფლების, მობილობისა და საერთაშორისო სტუდენტების ტრანსფერისთვის საჭირო მოქნილობით. ეს მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების გლობალურ პრაქტიკას, რომელიც აერთიანებს ინკლუზიურობასა და აკადემიურ სიმკაცრეს.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები მყარია და შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს: მოითხოვება ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერ სფეროში, უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე და შეფასება როგორც ეროვნული, ისე შიდა გამოცდების ან გასაუბრების საფუძველზე. ინგლისურენოვანი განათლების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული გამონაკლისები ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს და ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას. საერთაშორისოდ აღიარებული ენის ტესტების (TOEFL, IELTS, Cambridge) გამოყენება ადასტურებს ფართოდ მიღებული სტანდარტების დაცვას.

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმები ყოვლისმომცველია და აქცენტს აკეთებს როგორც აკადემიურ მომზადებაზე, ისე კვლევით პოტენციალზე. სარეკომენდაციო წერილის, სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების მოთხოვნა უზრუნველყოფს კანდიდატის პროგრამისთვის შესაბამისობის ჰოლისტიკურ შეფასებას. უპირატესობა ენიჭება შესაბამისი

აკადემიური განათლების ან მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილების მქონე კანდიდატებს, რაც შეესაბამება დოქტორანტურის განათლების საუკეთესო პრაქტიკას საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, სამხედრო რეგისტრაციასთან და წინა აკადემიურ კვალიფიკაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მკაფიო მოთხოვნები ასახავს სამართლებრივ შესაბამისობას და ინსტიტუციურ გულმოდგინებას.

პოტენციური გაუმჯობესების ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება განიხილებოდეს მინიმალური აკადემიური მაჩვენებლების (მაგ., საშუალო ქულა – GPA ან ეკვივალენტი) მკაფიო განსაზღვრა თითოეულ დონეზე ჩარიცხვისთვის, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და საერთაშორისო შედარებადობას.

საერთო ჯამში, კლასეტრის პროგრამებზე მიღების ჩარჩო სრულად შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობასა და უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებს და ხელს უწყობს თანაბარ ხელმისაწვდომობას, აკადემიურ მზაობასა და ხარისხის უზრუნველყოფას პროგრამების ყველა დონეზე.

აღწერა და ანალიზი – მევენახეობა და მეღვინეობა, სადოქტორო პროგრამა, VIII დონე

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სრულ გამჭვირვალობას, პროგრამაზე მიღების ყველა მოთხოვნის მკაფიოდ გამოქვეყნებით, მათ შორის პროგრამის დეტალების, მიღების ვადების, წარსადგენი დოკუმენტაციის, ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესებისა და სადოქტორო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ჩარიცხვა ეფუძნება თითოეული აპლიკანტის წინა აკადემიური მიღწევების, პროფესიული გამოცდილებისა და კვლევითი უნარების სიღრმისეულ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს, რომ კანდიდატებს გააჩნდეთ პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელი კომპეტენციები. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე თანხვედრაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფართო სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევის სტრატეგიასთან, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სადოქტორო კვლევისა და ინსტიტუციური პრიორიტეტების შესაბამისობას.

კანდიდატთა მიღება ხორციელდება სტრუქტურირებული კომისიური პროცესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს მკაფიო წესებს აღნიშნული კომისიის შემადგენლობის, ფუნქციებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შესახებ, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაფუძნებას. მიღების მოთხოვნების ფარგლებში, აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ კვლევითი ან შემოქმედებითი პროექტი და დაადასტურონ თავიანთი კვლევითი უნარები წინა პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის ან მინიმუმ ორწლიანი შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მეშვეობით; აღნიშნული იძლევა კანდიდატის კვლევითი პოტენციალის ყოვლისმომცველი შეფასების შესაძლებლობას.

ასევე ფასდება უცხო ენის ცოდნა: კანდიდატებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის

ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან, ალტერნატიულად, ერთ-ერთი დასავლეთ-ევროპული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე, ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონის ფლობის პირობით, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულია ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების ხელმისაწვდომობა, მათ შორის სადოქტორო ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობა, აგრეთვე წინა წლების სადოქტორო პროგრამის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და პასუხისმგებლიან განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. ქართული მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
4. უნივერსიტეტის ვებგვერდი [www.ciu.edu.ge](http://www.ciu.edu.ge)
5. ადგილზე ვიზიტი: შეხვედრები თვითშეფასების გუნდთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
6. შიდა გამოცდის ნიმუში (დამატებითი დოკუმენტი)

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით რეკომენდაცია(ები):</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში) ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები</b></p>	<p>-</p>	<p>-</p>

**შეფასება**

<p><b>კომპონენტი</b> 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები წინაპირობები</p>	<p><b>შეფასება</b></p>
--	------------------------

ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, დონე VI	შესაბამისობაშია
ქართული მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო პროგრამა, დონე VII	შესაბამისობაშია
მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, დონე VIII	შესაბამისობაშია

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

სწავლის შედეგების შესაბამისად, კლასტერში გაერთიანებული პროგრამები, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ასევე მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში.

ქართული მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც შეადგენს 22 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული სწავლება ვენახებსა და ღვინის მარნებში თითოეული 6 კრედიტს მოიცავს. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ასისტენტ-მასწავლებლის სტაჟირებას, რომელიც შეადგენს 10 კრედიტს და პრაქტიკული უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების მოცულობა დამაკმაყოფილებელი და ადეკვატურია ამ პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებისთვის. სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების კურსები შექმნილია სტუდენტების კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისთვის. კვლევითი უნარების განვითარებას კიდევ უფრო უწყობს ხელს უნივერსიტეტის მიერ კარიერის დასაწყისში მყოფი მკვლევარებისთვის გატარებული მხარდამჭერი ღონისძიებები.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1 / ქართული მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა

2 / ქართული მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა;

3 / მევენახეობის და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა;

4/ უნივერსიტეტის ვებგვერდი [www.ciu.edu.ge](http://www.ciu.edu.ge);

5/ უნივერსიტეტის კვლევითი პორტალი <https://research.ciu.edu.ge/>;

6/ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი <https://www.rustaveli.org.ge/>.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები/წინადადებები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / შემოთავაზებები</b></p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>არ არის მითითებული</p>
<p>მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>არ არის მითითებული</p>
<p>მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>სასურველია, მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო განზომილების გასაძლიერებლად შემუშავდეს მრავალმხრივი სტრატეგიები გლობალური ჩართულობის ხელშესაწყობად. ინოვაციური პედაგოგიური მიდგომები, როგორცაა საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობით შექმნილი ონლაინ კურსები, საზაფხულო სკოლებსა და ერთობლივ საერთაშორისო ვორქშოფებში მონაწილეობა, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გაეცნონ მრავალფეროვან აკადემიურ და პროფესიულ კონტენტებს..</p>

მევენახეობის და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, დონე VIII	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
---	--------------------	--------------------

### შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შეფასება
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

### 2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

#### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

კლასტერი აჩვენებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლისადმი თანმიმდევრულ და ზოგადად კარგად შეთანხმებულ მიდგომას, სადაც მეთოდები აშკარად არის დაკავშირებული კურსის შინაარსთან, აკადემიურ დონესთან და მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. ყველა დონეზე, ინტერაქტიული, პრაქტიკაზე ორიენტირებული და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების ფართო სპექტრი უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას და ხელს უწყობს მევენახეობისა და მეღვინეობისთვის აუცილებელი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. ბაკალავრის დონეზე, პროგრამა აჩვენებს ვერბალური, წერილობითი და ორმაგი (თეორია-პრაქტიკა) მეთოდების ძლიერ ინტეგრაციას, რასაც ემატება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემატური გამოყენება და ფართო თანამშრომლობითი

სწავლება, რაც ეფექტურად უწყობს ხელს ფუნდამენტური ცოდნის შეძენას. სამაგისტრო პროგრამა ავითარებს ამ საფუძველს მეთოდოლოგიური პალიტრის გაფართოებით ისეთი მაღალი დონის სწავლების სტრატეგიებით, როგორცაა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, ევრისტიკული მსჯელობა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ინტერდისციპლინარული ინტეგრაცია და ციფრული ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება, რაც მეორე საფეხურის მოლოდინებთან კარგ შესაბამისობას აჩვენებს. სადოქტორო პროგრამა კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს ანალიტიკური, კვლევაზე ორიენტირებული და რეფლექსიური მეთოდების ხაზგასმით, როგორცაა შემთხვევის კვლევები, თანამშრომლობითი სწავლება, ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობა და ლაბორატორიული ექსპერიმენტები, რაც უზრუნველყოფს მესამე საფეხურისთვის მოთხოვნილ მოწინავე უნარებთან და ავტონომიასთან შესაბამისობას. საერთო ჯამში, სამივე პროგრამაში მეთოდოლოგიური არჩევანი კარგად არის დასაბუთებული სასწავლო გეგმებში/სილაბუსში და დადასტურდა კიდევაც ადგილზე ვიზიტის დროს, სადაც სტუდენტებმა აღნიშნეს პრაქტიკულ, კვლევით და დისკუსიაზე დაფუძნებულ აქტივობებში მნიშვნელოვანი ჩართულობა. ამგვარად, კლასტერი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, აჩვენებს თანმიმდევრულობას, ციკლებს შორის პროგრესირებას და მეთოდების ეფექტურ კომბინაციას, რომელიც ხელს უწყობს აქტიურ სწავლებას და პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას, მხოლოდ მცირედი ვარიაციით, რომელიც ასახავს თითოეული აკადემიური დონის სპეციფიკას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაში
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაში
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაში
4. კურსის სილაბუსები
5. ადგილზე ვიზიტი: თვითშეფასების გუნდთან შეხვედრა, პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრა, პედაგოგიურ პერსონალთან შეხვედრა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეხვედრა, სტუდენტებთან შეხვედრა

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები/წინადადებები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები /</b></p>	<p><b>არ არის მითითებული</b></p>	<p><b>არ არის მითითებული</b></p>

შემოთავაზებები		
----------------	--	--

## შეფასება

კომპონენტი <u>2.3. სწავლება და სწავლა</u> <u>მეთოდები</u>	შეფასება
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

## 2.4. სტუდენტის შეფასება

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროგრამა ნამუშევრის, ითვალისწინებს ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;

- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
თანახელმძღვანელის მკაფიო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც მორგებულია უსდ-ს პროგრამასამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სპეციფიკაზე და შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ხელმძღვანელები შეირჩვიან მათი ძლიერი სამეცნიერო კომპეტენციის მიხედვით: მათ აქვთ შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ფლობენ უახლეს ცოდნას თავიანთ სფეროში და აქვთ დადასტურებული გამოცდილება, როგორც ხელმძღვანელობის, ასევე თანახელმძღვანელობის სფეროში. მათი აქტიური ჩართულობა კვლევაში ვლინდება საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში, როგორცაა Scopus, Web Of Science და ERIH Plus, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი ექსპერტიზა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი სტუდენტების მიერ შესწავლილ თემებთან და კვლევით სფეროებთან.

ბოლოდროინდელი სამეცნიერო ნაშრომები მთავარი კრიტერიუმია და ხელმძღვანელები რეგულარულად აქვეყნებენ ნაშრომებს უცხოურ რეცენზირებად ჟურნალებში, რომლებიც შესაბამისობაშია მათი დოქტორანტების კვლევის სფეროებს. 2018-2022 წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ამ მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობის კონკრეტულ მტკიცებულებებს წარმოადგენს.

თითოეულ დოქტორანტს ხელმძღვანელობს დაწესებულების აკადემიური პერსონალი — პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი — რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი და აკმაყოფილებს საჭირო აკადემიურ სტანდარტებს.

ხელმძღვანელები ასევე ინარჩუნებენ ძლიერ პროფესიულ კავშირებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებთან. ისინი მონაწილეობენ ერთობლივ კვლევით პროექტებში, თანამშრომლობენ საგრანტო კონკურსებში და სამეცნიერო ასოციაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან. თანახელმძღვანელების დანიშვნისას იგივენაირი მნიშვნელობა ენიჭება მათ კვალიფიკაციის და ექსპერტიზის სფეროებს, რაც პირდაპირ კავშირშია იმ სადოქტორო დისერტაციასთან, რომლის ხელმძღვანელობაშიც ისინი იღებენ მონაწილეობას.

მაღალი ხარისხის ხელმძღვანელობის მხარდასაჭერად, დაწესებულების მიერ შეთავაზებულია პროფესიული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები, მათ შორის, მიზნობრივი ტრენინგები, სემინარები და ვორკშოპები, რომლებიც შექმნილია ხელმძღვანელობის უნარების გასაძლიერებლად. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე მექანიზმი ხელმძღვანელების მუშაობის წახალისებისა და აღიარებისთვის, როგორცაა მათი კვლევისა და ხელმძღვანელობის წვლილის აღიარება, გრანტების დაფინანსებაში მონაწილეობა - განსაკუთრებით კი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით - და თანამშრომლობით აკადემიურ პროექტებში მონაწილეობა.

დოქტორანტების ამჟამად შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელების არსებული ჯგუფი საკმარისია. თუმცა, პროგრამის განვითარებასთან ერთად, დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვალიფიციური ხელმძღვანელების რაოდენობა, რათა შეესაბამებოდეს მის მომავალ ზრდას და უზრუნველყოს მაღალი

ხარისხის დოქტორანტურის მდგრადი სწავლება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- 1/ დანართი 6. აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რეზიუმეები/CV-ები
- 2/ დანართი 3. პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსები
- 3/ დანართი 9. საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი, 2019-2024
- 4/ დანართი 18. პერსონალის საქმიანობის დამადასტურებელი მასალები
- 5/ კომპონენტის მტკიცებულებები / ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები და გასაუბრების შედეგები 6/ აკრედიტაციის ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაცია

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები/წინადადებები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / შემოთავაზებები</b></p>	<p><b>არ არის მითითებული</b></p>	<p><b>არ არის მითითებული</b></p>
<p>მევენახეობის და მელვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>სასურველია, სტუდენტთა რაოდენობის პოტენციური ზრდის გათვალისწინებით გაიზარდოს სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობები. .</p>
<p>სადოქტორო პროგრამა მევენახეობა-მელვინეობა, VIII დონე</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა საკმარისია სადოქტორო სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით, თუმცა ისინი ერთდროულად ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების ფუნქციასაც. სასურველია, ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდა, რათა უკეთ გადანაწილდეს სამუშაო დატვირთვა და გაძლიერდეს სტუდენტთა მხარდაჭერა..</p>

შეფასება

<b>კომპონენტი 4.2 კვალიფიკაცია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია</b>	<b>შეფასება</b>
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

### 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

##### კლასტერის შეფასება

##### კლასტერის აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის როგორც აკადემიურ, ისე კვლევით აქტივობებს. სამსახური ატარებს დაკვირვებებს აუდიტორიუმში მეცადინეობისას და აფასებს აკადემიურ, კვლევით და მოწვეულ პერსონალს, ასევე სასწავლო და კვლევითი პროცესების პროგრესს წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს დასკვნებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც ეცნობება პროგრამის ხელმძღვანელს გამოსასწორებელი ქმედებების განსახორციელებლად. პარალელურად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოითხოვს, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა გამოიკვლიოს გამოვლენილი ხარვეზების სავარაუდო მიზეზები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერსონალის შეფასებაში სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს ითვალისწინებს.

აკადემიური პერსონალის მხარდასაჭერად და მათი კვლევის ხარისხის ასამაღლებლად კსუ ატარებს შემდეგ აქტივობებს: ტრენინგები საგრანტო დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ; კონსულტაციები საგრანტო დაფინანსების მისაღებად; თანადაფინანსების გამოყოფა დონორ ორგანიზაციებში საპროექტო განაცხადების წარდგენისას; კვლევის შედეგების გამოქვეყნების დაფინანსება მაღალეფექტურ სამეცნიერო ჟურნალებში; ერთობლივი კვლევითი პროექტებისთვის საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვის მცდელობები; პერსონალის კვლევითი ვიზიტების დაფინანსება; შიდა კონკურსების ორგანიზება მონაწილეობის ფინანსური წახალისებით; საინფორმაციო სესიები და სემინარები პერსონალის თანამედროვე სამეცნიერო საშუალებებში გამოქვეყნებისთვის საჭირო უნარებით მოსამზადებლად, სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენებით და კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო სხვა კომპეტენციებით, ასევე მათი

გაცნობა კვლევითი ეთიკის სტანდარტებთან. უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა საკუთარი სტრატეგია და მექანიზმები, ახორციელებს მიზანმიმართულ აქტივობებს უნივერსიტეტში ადრეული კარიერის პერსონალის პროფესიული და აკადემიური კარიერული წინსვლის მხარდასაჭერად. ამ გზით, უნივერსიტეტი ავითარებს საკუთარ კვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს, რომელიც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის, რაც დადებით პრაქტიკას წარმოადგენს და აძლიერებს პროგრამის მდგრადობას აწმყოსა და მომავალში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- 1/სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების დეზულეზა; 2/ აკადემიური საქმიანობის დაფინანსების დეზულეზა;
- 3/ პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის მაჩვენებლები; 4/ პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის განვითარებაში;
- 5/ აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასების (სწავლებისა და კვლევის ხარისხის) და კმაყოფილების კვლევების შედეგები;
- 6/ პერსონალის მართვასა და განვითარებაში გამოკითხვის შედეგების გამოყენების მექანიზმები; 7/ პერსონალთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლები;
- 8/ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის ინდიკატორები; 9/ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 10/ მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ბიუჯეტი; 11/ კლასტერში არსებული პროგრამების ბიუჯეტი;
- 12/ აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმები; 13/ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- 14/ აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, 2021-2025 წწ.;
- 15/ „მევენახეობა-მეღვინეობის“ კლასტერის ფარგლებში პროგრამების განმახორციელებელი პროფესორების სამეცნიერო საქმიანობა;
- 16/ აკრედიტაციის ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაცია

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები/წინადადებები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
---	---	--

<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / შემოთავაზებები</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>სასურველია აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. ასეთი მობილობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სწავლებისა და კვლევის გამდიდრებაში, ვინაიდან პერსონალს გააცნობს სხვადასხვა აკადემიურ კულტურას, ინოვაციურ პედაგოგიურ მიდგომებსა და უახლეს სამეცნიერო მიღწევებს. საერთაშორისო გაცვლების გაძლიერება არა მხოლოდ გააუმჯობესებს პერსონალის კომპეტენციებს, არამედ გააძლიერებს მევენახეობისა და მეღვინეობის პროგრამების გლობალურ რელევანტურობასა და მიმზიდველობას.</p>
---	---------------------------	---

## შეფასების

კომპონენტი 4.3 პროფესიული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარება	შეფასება
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

### 4.4. მატერიალური რესურსები

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინანსებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერული შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ ყოვლისმომცველ ინფრასტრუქტურას და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს შეზღუდვების გარეშე, კლასტერული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად. შენობა-ნაგებობი მოიცავს კარგად აღჭურვილ აუდიტორიებსა და საკონფერენციო დარბაზებს შესაბამისი

ინვენტარიტა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ხელმისაწვდომია თანამედროვე კომპიუტერებით, ინტერნეტთან და შიდა ქსელთან დაკავშირებული კომპიუტერული აღჭურვილობით ექვსი კომპიუტერული საკლასო ოთახი, სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფით, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობებით, ორი სერვერის ოთახით და კომპიუტერული ლაბორატორიით. უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი თანამედროვე მულტიმედიური ცენტრი მხარს უჭერს საგანმანათლებლო საქმიანობას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აშენებული თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სამკითხველო დარბაზებს ბიბლიოთეკის კოლექციებზე ღია წვდომით, იზოლირებულ შეხვედრების ოთახებს, საკონფერენციო დარბაზს და ბიბლიოთეკარებისთვის გამოყოფილ სამუშაო სივრცეს. გარდა ამისა, მევენახეობა-მელვინეობის კამპუსს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერული და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. მევენახეობა-მელვინეობის ფაკულტეტი ფლობს უნიკალურ მრავალფუნქციურ მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, რომლებიც მუდმივად იზრდება და ვითარდება, მათ შორის ვაზისა და ღვინის მიკრობიოლოგიის, ვაზის ბიოლოგიისა და მევენახეობის, ენოქიმიისა და საგანმანათლებლო-კვლევითი მიზნებისათვის სპეციალიზებულ ლაბორატორიებს. ინფრასტრუქტურა მოიცავს ღვინის დეგუსტაციის კაბინეტებს, ექსპერიმენტულ მიკრო-ვინიფიკაციის ლაბორატორიას, ინსტრუმენტული ანალიზის ლაბორატორიას და 115 უნიკალური ქართული ავტოქთონური ვაზის ჯიშის კოლექციურ ნაკვეთს. პრაქტიკული ობიექტები მოიცავს „ეთნო ოკამის“ ღვინის ქარხანას თავისი მარნით და 10 ჰექტარზე გაშენებული პროდუქტიული ვენახით, ექსპერიმენტულ ვენახის ნაკვეთებს, კამპუსში არსებული მარტივი ტიპის სათბურს და „კოლხის“ ღვინის ქარხანას. საკონფერენციო და საგანმანათლებლო სივრცეები მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, მცირე საკონფერენციო დარბაზს და დავით სარაჯიშვილის საკონფერენციო აუდიტორიას, რაც უზრუნველყოფს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევისა და განათლების ყოვლისმომცველ მხარდაჭერას.

უფრო კონკრეტულად სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით:

სადოქტორო პროგრამა ეფუძნება მყარ კვლევით და მხატვრულ-შემოქმედებით ინფრასტრუქტურას, რომელიც გთავაზობთ სასწავლო გეგმის როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო კომპონენტებისთვის საჭირო ყველა საშუალებას. ლაბორატორიული სივრცეები, ტექნიკური აღჭურვილობა, ციფრული ინსტრუმენტები და სპეციალური ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები ხელმისაწვდომია დოქტორანტობის კანდიდატების მხარდასაჭერად მთელი მათი კვლევითი მოღვაწეობის განმავლობაში.

სტუდენტებს ასევე აქვთ სრული წვდომა დაწესებულების ბიბლიოთეკის რესურსებზე, რომლებიც მოიცავს წიგნების ფართო კოლექციას, თანამედროვე სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებს და მნიშვნელოვან საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს. ეს რესურსები უზრუნველყოფს, რომ მათ შეუძლიათ კონსულტაციები გაუწიონ ყველა შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების დასაკმაყოფილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოფიციალური მტკიცებულება კვლევითი

ინფრასტრუქტურის გარე ინსტიტუტებთან სისტემატური გაზიარების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აშკარად ღიაა თანამშრომლობისთვის, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. არსებული პარტნიორობა უკვე იძლევა წვდომას სპეციალიზებულ ობიექტებზე, როგორცაა საქართველოს ეროვნული ამპელოგრაფიული კოლექცია და ადგილწარმოშობის დასახელებების ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც ღირებულ შესაძლებლობებს სთავაზობს მოწინავე კვლევისთვის.

დაწესებულება მიისწრაფვის თავისი სამეცნიერო და კვლევითი ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლებისა და განვითარებისაკენ. თანდათანობითი და უწყვეტი ინვესტიციების საშუალებით, ის უზრუნველყოფს, რომ ობიექტები განვითარდეს პროგრამის საჭიროებების შესაბამისად, რითაც ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის კვლევით საქმიანობას და სწავლის ძლიერი შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- 1/კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები და გასაუბრების შედეგები
- 2/ ვიზიტის დროს ვიზუალური დაკვირვება
- 3/ მემორანდუმი მეღვინეობასთან

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> _____ გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები/წინადადებები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</b></p>	<p><b>არ არის მითითებული</b></p>	<p>სასურველია, თანამედროვე დარგობრივი სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ლიტერატურის ეტაპობრივად შემუშავება და გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და დაეხმარება სტუდენტებს დამოუკიდებელ მუშაობაში.</p>

**შეფასების**

<p>კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსები</p>	<p>შეფასება</p>
--	-----------------

მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

#### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც ამლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

##### კლასტერული შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტები მიზნად ისახავს ყველა საოპერაციო ხარჯების დაფარვას, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპენსაციას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნებასა და განახლებას, ლიტერატურის შეძენას, პროგრამის შემუშავებასა და ადმინისტრირებას. სტუდენტების სწავლის საფასური შემოსავლის ძირითადი წყაროა. უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტი ფარავს ისეთ ხარჯებს, როგორცაა ინტერნაციონალიზაცია, მივლინებები, სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაცია. ეს ფინანსური მოდელი ასახავს როგორც ინდივიდუალური პროგრამების თვითმდგრადობას, ასევე უნივერსიტეტის საერთო შემოსავლის ინსტიტუციურ ვალდებულებას, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა)**

პროგრამისთვის ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია/ გამართლებულია და შესაბამისობაშია მის ოპერაციულ საჭიროებებს. პროგრამის მოსალოდნელი ბიუჯეტი არის 853,227 ლარი. დაგეგმილი ხარჯები იყოფა შემდეგნაირად: სწავლების ხარჯები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასი) - 181,100 ლარი, პროგრამის სხვა ხარჯები - 27,500 ლარი (საგამომცემლო და ბეჭდვის ხარჯები - 6,000 ლარი, თარგმანისა და რედაქტირების ხარჯები - 5,000 ლარი, სტუდენტური გაცვლითი პროგრამები - 10,000 ლარი და პროფესორების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სესიებში - 5,000 ლარი), პროგრამის სხვა ხარჯები კი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ბიუჯეტი მნიშვნელოვან პროფიციტზე/ნაშთის სიჭარბეზე მიუთითებს, რაც ძლიერად უჭერს მხარს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. ეს ჭარბი თანხა შეიძლება ხელახლა ინვესტირდეს პროგრამების შემდგომ გაუმჯობესებაში, სტიპენდიებში ან სტრატეგიულ რეზერვებში.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა)**

პროგრამისთვის ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია/ გამართლებულია და შესაბამისობაშია მის ოპერაციულ საჭიროებებს. პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი 69,750 ლარია. დაგეგმილი ხარჯები იყოფა შემდეგნაირად: სწავლების ხარჯები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასი) - 34,700 ლარი, პროგრამის სხვა ხარჯები - 31,590 ლარი (თარგმანი და რედაქტირება - 5,000 ლარი, სტუდენტური გაცვლითი პროგრამები - 7,000 ლარი, თანამშრომლების ტრენინგები/კორპორატიული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები - 1,530 ლარი, პროფესორების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სესიებში - 9,060 ლარი, კლინიკის/პრაქტიკის ხარჯები - 7,000 ლარი და მივლინებების ხარჯები - 2,000 ლარი), პროგრამის სხვა ხარჯები კი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ბიუჯეტი მნიშვნელოვან პროფიციტზე/ნაშთის სიჭარბეზე მიუთითებს, რაც ძლიერად უჭერს მხარს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. ეს ჭარბი თანხა შეიძლება ხელახლა ინვესტირდეს პროგრამების შემდგომ გაუმჯობესებაში, სტიპენდიებში ან სტრატეგიულ რეზერვებში.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (მევენახეობის და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა)**

პროგრამისთვის ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია/ გამართლებულია და შესაბამისობაშია მის ოპერაციულ საჭიროებებს. პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალია 16,500 ლარი. დაგეგმილი ხარჯები იყოფა შემდეგნაირად: სწავლების ხარჯები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასი) - 8,888 ლარი, პროგრამის სხვა ხარჯები, როგორცაა დოქტორანტებისთვის კვლევითი კომპონენტების განხორციელების დაფინანსების მექანიზმები, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევის განხორციელების ხელშეწყობის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო მივლინებებისა და კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების, მონოგრაფიებისა და სხვა კვლევების გამოქვეყნებისთვის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობები, სამეცნიერო-კვლევითი/მხატვრული ინფრასტრუქტურის განვითარება მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის

ბიუჯეტებიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- 1/ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- 2/ მევენახეობა-მელვინეობის ფაკულტეტის ბიუჯეტი 2025;
- 3 / მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი 2025;
- 4 4 / მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი 2025;
- 5 5 / მევენახეობა-მელვინეობის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი 2025;
- 6/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; 7/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- 8/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ები):</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევვა (ები):</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</b></p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>არ არის მითითებული</p>
<p>მევენახეობის და მელვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>არ არის მითითებული</p>
<p>მევენახეობის და მელვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>არ არის მითითებული</p>
<p>მევენახეობა-მელვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე</p>	<p>არ არის მითითებული</p>	<p>არ არის მითითებული</p>

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის მხარე (დოქტორანტი, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა)..

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერული შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული

ხორციელდება უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან ერთად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 26 აპრილის #01-44 ბრძანებით დამტკიცებული „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შემდეგნაირად:

(1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების განხილვა და პროგრამის ცვლილება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფაკულტეტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხდება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვით და სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. გამოკითხვის ფორმები მოიცავს ისეთი საკითხების შეფასებას, როგორცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილება, სწავლის შედეგები, მენეჯმენტის პროცესების შეფასება, ინფრასტრუქტურა, განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის შეფასება, მატერიალური ბაზა და ა.შ. მიღებული ინფორმაციის შედეგების საფუძველზე ხდება მონაცემების დამუშავება, იდენტიფიცირდება ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა წარმოდგენილი კლასტერის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, ჩატარდა კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან. მათ მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში.

თვითშეფასების ანგარიში მოწმობს, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარების ახალ შესაძლებლობებს, მათ შორის საერთაშორისო დონეზე და ახორციელებს მათ პროგრამის ფარგლებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობდნენ არა მხოლოდ ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის, არამედ გამოვლენილი სისუსტეების გაანალიზებასა და მათი გამოსწორების ნაბიჯებზე, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში შემავალი ყოვლისმომცველი მიმოხილვით, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებით და შესაბამისი ანგარიშგების ოქმებით. ეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისა და მექანიზმების მოქმედი და დაგეგმვის დოკუმენტებში პრიორიტეტული პოზიციის დემონსტრირებაა; თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ამჟამინდელი პრაქტიკა ზედმეტად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ წესებსა და ჩარევებზე. დაინტერესებული მხარეების უმრავლესობას ბოლომდე არ ესმის ხარისხის მექანიზმების მნიშვნელობა და მათ აუცილებელ

და მოთხოვნად ინსტრუმენტებად მიიჩნევა ფაკულტეტის მენეჯმენტისგან. ლოგიკური შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრებაზე მუშაობა ყველა დონეზე და მის ყველა ნაწილში. ხარისხის კულტურის დამახასიათებელი ნიშანია გავრცელებული ინფორმაციით, ფართოდ გაზიარებული ცნობიერება და პასუხისმგებლობა კარგი ხარისხის მიმართ.

უნივერსიტეტში სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა უნივერსიტეტში არსებული პროგრამების გასაუმჯობესებლად ჩატარებული აქტივობების/ სასწავლო ღონისძიებების ჩამონათვალი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- 1/ მევენახეობა-მელვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი; 2 / პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- 3 / უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წესდება; 4 / მევენახეობა-მელვინეობის ფაკულტეტის წესდება;
- 5 / აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის წესდება; 6 / სასწავლო პროცესის დებულება;
- 7 / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები; 8 / ბაზრის კვლევა;
- 9/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან; 10/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- 11/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- 12/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის დამსაქმებლებთან.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცი (ები):</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ები):</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აგრეთვე, გთხოვთ მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის</p>
---	--	--

		შემთხვევაში)
<b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</b>	არ არის მითითებული	სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზნად განისაზღვროს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება (რაც გულისხმობს ხარისხის მნიშვნელობის შესახებ ფართოდ გაზიარებულ ცნობიერებასა და პასუხისმგებლობას)
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

## შეფასება

<b>კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება</b>	<b>შეფასება</b>
---	-----------------

მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

**5.2. გარე ხარისხის შეფასება** აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის

## მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასებისთვის. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მევენახეობისა და მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შემუშავებასა და დახვეწას.

კლასტერის პროგრამების გარე შეფასებას ახორციელებენ დამსაქმებლები და დამოუკიდებელი ექსპერტები (მათ შორის საერთაშორისო) პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შემუშავებაში. ასევე, პროგრამა შეაფასეს პროგრამის კურსდამთავრებულებმა თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების კვლევის კუთხით.

შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები მხედველობაში იქნა მიღებული მევენახეობისა და ენოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეცვლისას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 1/ მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი; 2/ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- 3/ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; 4/ გარე შეფასების შედეგები;
- 5/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან; 6/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- 7/ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- 8/ ექსპერტთა პანელის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის დამსაქმებლებთან.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცი(ებ)ა:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ა:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
---	---	---

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობის და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

### შეფასება

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	შეფასება
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ძირითადად სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგით ფასდება. ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კურსებსა და ლექტორებს აფასებს სტუდენტების გამოკითხვებზე დაფუძნებული კითხვარების მეშვეობით (გამოკითხვა ხელმისაწვდომია სტუდენტების ელექტრონულ სისტემაში). კურსით სტუდენტების კმაყოფილების გაანალიზება და მიღებული შედეგების დამუშავება ხდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

დადასტურებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შემუშავების პროცესში. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის შემმუშავებელ პერსონალთან შეხვედრების ოქმები და დამსაქმებლების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, რომელშიც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები, მათი რეკომენდაციები და რჩევები. ამ პროცესში ჩართულობას ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე;

მათ დაასახელეს პროგრამის მენეჯერისთვის მათ მიერ მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები ესწრებიან ლექციებს/პრაქტიკულ სწავლებას მონიტორინგის მიზნით, ანალიზებენ სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ინდივიდუალური სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით. შედეგებს ასევე აცნობენ მასწავლებელს და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებსა და რჩევებსაც უზიარებენ. პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას, რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციებზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგები მუშავდება სასწავლო კურსების, ლექტორებისა და სკოლების მიხედვით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პროცესის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები ზოგიერთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რათა უზრუნველყოფილიყო მექანიზმის დანერგვა და პროგრამის შედეგების შეფასება. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის ან/და შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი არის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათ მიერ წლიური ან სემესტრული ანგარიშების წარდგენაში. ანგარიშებში ასახულია ინფორმაცია მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და ა.შ. აღნიშნული აქტივობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებებით, ასევე აკადემიური პერსონალის CV-ებიდან. დაწესებულებამ ასევე

წარმოადგინა ცალკეული ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შესახებ.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში, პროგრამა შეფასდა უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს პროგრამებთან, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფთან შესაბამისი შეხვედრებით. ამ ანალიზის შედეგები არა მხოლოდ დოკუმენტირებულია, არამედ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები და გაუმჯობესება მევენახეობისა და მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- 1/ მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი; 2/ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- 3 / უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წესდება; 4 / მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის წესდება;
- 5 / აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის წესდება; 6 / სასწავლო პროცესის დებულება;
- 7/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
- 8 / საორიენტაციო დოკუმენტი უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამებით; 9 / ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- 10/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- 11/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- 12/ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის დამსაქმებლებთან.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცი(ებ)ია:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ია:</b> გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აგრეთვე,</p>
---	---	--

		გთხოვთ მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</b>	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული

### შეფასება

<b>კომპონენტი <a href="#">5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</a></b>	<b>შეფასება</b>
მევენახეობის და მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, VI დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა, VII დონე	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო პროგრამა, VIII დონე	შესაბამისობაშია